პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 237 (3214)

8 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 28-ე წელი





# გამარჯვება დუშანბეს კორტებზე

ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში ამას წინათ გაიმართა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საკავშირო პირველობა.

დიდ წარმატებას მიაღწიეს თბილისელმა სტუდენტებმა ლამარა მგალობლიშვილმა და ვლადიმერ პერეგუდოვმა. ლ. მგალობლიშვილმა (მწვრთნელი მ. ქობალია) გოგონათა ტურნირის ფინალში ათივე მეტოქე დაამარცხა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა დაისაკუთრა.

დაძაბული იყო ვაჟთა ფინალური შეჯიბრებაც. სტარტზე ორი წაგების შემდეგ ზედიზედ 7 გამარჯვება იზეიმა ვ. პერეგუდოვმა (მწვრთნელი მ. კლდიაშვილი). დასკვნით, X ტურში თბილისელი შეხვდა ასპარეზობის ლიდერს, უკრაინელ ვ. ქირკოს, რომელიც მას 1 ქულით უსწრებდა. პერეგუდოვმა ოსტატურად ითამაშა და გაიმარჯვა კიდეც. საერთო ჯამში მეტოქეებმა 8-8 ქულა დააგროვეს, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ პირველობა ვ. პერეგუდოვს მიაკუთვნა (ქირკოს დამარცხებისთვის).

კარგად გამოვიდა პერეგუდოვი ვაჟთა წყვილების შეხვედრებშიც, სადაც მოსკოველ ვ. ალექსეევთან ერთად კიდევ ერთი „ოქრო" მოიხვეჭა.

ი. იუნაევი.

* * *

სურათებზე: ლ. მგალობლიშვილი და ვ. პერეგუდოვი.

ფოტო ავტორისა.

ცნობები

## ჭადრაკი

კიევი, 7 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის XIII ტურში ალექსანდრიამ შესანიშნავ სტილში მოუგო მოროზოვას, ხოლო მისმა მეტოქეებმა — ზატულოვსკაიამ სკეგინასთან და იდელჩიკმა გოლოვეისთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს, კოზლოვსკაია კი დამარცხდა რუბცოვასთან.

კახაბრიშვილმა მოუგო მუსლიმოვას, ჩაიკოვსკაიამ — ტიხომიროვას. ვოიციკ — კაკაბაძის პარტია ყაიმით დასრულდა. 3 შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა.

13 ტურის შემდეგ ტ. ზატულოვსკაიას 9,5 ქულა აქვს. ნ. ალექსანდრიას — 9, ვ. კოზლოვსკაიასა და ლ. იდელჩიკს — 8,5-8,5.

## ჭადრაკი

ბაქო, 7 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირში დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ჩიქოვანმა მოუგო ლ. გრიგორიანს, ა. შახტახტინსკიმ — ბოკუჩავას, ფ. შახტახტინსკიმ — პრივოროტსკის, ლ. გრიგორიანმა — გაფრინდაშვილს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბაგიროვი — გაფრინდაშვილი და ა. შახტახტინსკი — ბაგიროვი. კ. გრიგორიანი არ გამოცხადდა სათამაშოდ პავლენკოსთან და მას წაგება მიესაჯა.

დასკვნითი, XV ტურის წინ ლ. გრიგორიანს 9,5 ქულა აქვს, ვ. ბაგიროვსა და თ. გიორგაძეს — 8,5-8,5.

## [illegible]

ტოკიო, 7 დეკემბერი. იაპონელ და საბჭოთა ტანმოვარჯიშეების დღევანდელ ასპარეზობაში, იაპონიის დედაქალაქში მსოფლიო ტანვარჯიშის ამ ლიდერთა ტურნირის მეორე დღეს, მრავალრიცხოვანი მაყურებელი განსაკუთრებით მოხიბლა ზ. დრუჟინინას მიერ შესრულებულმა თავისუფალმა ვარჯიშმა. მსაჯებმაც ღირსეულად შეაფასეს საუცხოო საბჭოთა სპორტსმენი ქალის უაღრესად ნატიფი და დახვეწილი გამოსვლა: 9.9 ქულა მიანიჭეს მას. ეს ამ ტურნირის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგია.

## ბომბი... ტელეფონით

ბუდაპეშტი, 7 დეკემბერი. უნგრეთის დედაქალაქის აეროდრომზე 4 საათის დაგვიანებით დაჯდა თვითმფრინავი, რომლიდანაც მილანის „ინტერნაციონალეს" აღელვებული ფეხბურთელები გადმოვიდნენ. ისინი აქ ხომ ადგილობრივ „ვაშაშს" უნდა შეხვდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მატჩში! მაგრამ იტალიელები ამიტომ კი არ იყვნენ აღელვებული. ამ დაგვიანებისა და მღელვარების მიზეზი სულ სხვა რამ გახლდათ...

როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო მტი იუწყება, მილანიდან იტალიელთა გამოფრენის წინ აეროსადგურში ვიღაც უცნობმა დარეკა და განაცხადა: თვითმფრინავში, რომლითაც ფეხბურთელები მიემგზავრებიან, ბომბი ჩადესო.

და აი, თვითმფრინავი ორჯერ ზედმიწევნით გულდასმით შეამოწმეს, მაგრამ ეს საშინელი ტვირთი ვერ ნახეს.

ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. მაგრამ ასევე მშვიდობიანად დასრულდება თუ არა იტალიელთა განმეორებითი მატჩი „ვაშაშთან", კაცმა არ იცის. ეს ხვალ გაირკვევა „ნეპშტადიონზე". როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი თამაში მილანში მასპინძელთა მინიმალური უპირატესობით აღინიშნა—2:1.

## [illegible]

◆ ჰავანა, 7 დეკემბერი. ევროპის 11 ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნები, აგრეთვე, თავისუფლების კუნძულის სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც კუბის რევოლუციის VIII წლისთავს ეძღვნება. მონაწილეთა შორის იქნებიან საბჭოთა სპორტსმენები ტ. ტალიშევა, ვ. კორსაკოვა, ლ. კომლევა, ი. ფელდი და სხვ. სარბიელზე, აგრეთვე, გამოვლენ ცნობილი სპორტსმენები — რ. ბამბუკი (საფრანგეთი), ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია), მ. პენეში (რუმინეთი), ღ. ჟივოცკი (უნგრეთი) და სხვ.

◆ ბუდაპეშტი, 7 დეკემბერი. ბირთვის კვრაში ევროპის ჩემპიონი ვ. ვარიუ მტი-ს სააგენტოს სპორტული რედაქციის მიერ აღიარებულია 1966 წლის საუკეთესო სპორტსმენად უნგრეთში.

## [illegible]

● ნალჩიკი, 6 დეკემბერი. ყაბარდო-ბალყარეთის 11-მა მთამსვლელმა ზამთრის რთულ პირობებში, 20-გრადუსიან ყინვაში დღეს მოახდინა ასვლა უკიუს მწვერვალზე (4346 მ) ცნობილი ბეზენგის კედლის რაიონში. ასვლა მიეძღვნა მოსკოვთან გერმანელი ფაშისტების განადგურების 25 წლისთავს. ჯგუფის შემადგენლობაში იყო 2 ქალი — ნალჩიკელი ინჟინრები ა. შუვალოვა და ა. ივახოვა. ასვლას ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი ვ. ნაუგოლნი.

● კაუნასი, 6 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის აქ გამართული მატჩი ხელბურთელ ქალთა გუნდებს შორის მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 9:8 (4:4). ერთმანეთს ხვდებოდნენ კაუნასის „ჟალგირისი" და როსტოკის „ემპორი" (გდრ). ეს პირველი წრის შეხვედრა იყო. წინ საპასუხო თამაშია.

## გუშინ...

ტყიბულში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეშახტე" და ხოჟუვის „რუხი" (პოლონეთი).

წარმტაცი და მწვავე ბრძოლის შემდეგ თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოთხივე ბურთი შესვენებამდე იქნა გატანილი.

ამრიგად, „რუხმა" მეოთხე მატჩი გამართა ჩვენში. კრასნოდარის „ყუბანთან" წაგების (1:3) შემდეგ მან ტყიბულში ჩამოსვლამდე ერთნაირი ანგარიშით (2:1) მოუგო ოდესის „ჩერნომორეცსა" და ქუთაისის „ტორპედოს".

ფეხბურთი

# ფრე, რომელიც წაგებას უდრის

დორტმუნდი, 7 დეკემბერი. გუშინ საღამოს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ამ საპატიო პრიზის მფლობელი — ადგილობრივი „ბორუსია" და შოტლანდიის ცნობილი კლუბი — „გლაზგო რეინჯერსი" (პირველი მატჩი გლაზგოში შოტლანდიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 2:1).

მთელი მატჩის მანძილზე ტერიტორიული უპირატესობა გერმანელთა მხარეზე იყო. პირველი ნახევრის მიწურულში მინდორი დატოვა შოტლანდიელთა თავდამსხმელმა უოტსონმა, რომელიც დაშავდა. ათმა გლაზგოელმა გაუძლო გერმანელთა გააფთრებულ შეტევებს და მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.

ამრიგად, მეოთხედფინალში გავიდა „გლაზგო რეინჯერსი". იგი შეუერთდა სხვა მეოთხედფინალისტებს: „რეალ-სარაგოსას" (ესპანეთი), ჟენევის „სერვეტს" (შვეიცარია), სოფიის „სლავიას" (ბულგარეთი) და მიუნხენის „ბაიერნს" (გფრ).

როგორც ცნობილია, 8 დეკემბერს გაიმართება მერვედფინალისტთა კიდევ 2 მატჩი: ბრაგაში (პორტუგალია) ერთმანეთს ხვდებიან ადგილობრივი „სპორტინგი" და ტიორის „ვაშაში" (უნგრეთი), ხოლო ვენაში — ადგილობრივი „რაპიდი" (ავსტრია) და მოსკოვის „სპარტაკი".

14 დეკემბერს ლიეჟში (ბელგია) ჩატარდება უკანასკნელი მერვედფინალური მატჩი: ადგილობრივი „სტანდარდი" შეხვდება ლაიპციგის „ქემის" (გდრ).



საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში გაიმართა ჭაბუკ წყალბურთელთა შეჯიბრება ქალაქის სპორტკავშირის პრიზზე.

ასპარეზობა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს განათლების განყოფილების აღსაზრდელებმა და პირველობაც დაისაკუთრეს. გამარჯვებულთა შორის კარგი თამაშით გამოირჩეოდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი, ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი, 18 წლის ვლადიმერ ისელიძე (მწვრთნელი ვ. ბარნაბიშვილი). ნორჩ დინამოელებთან გადამწყვეტ მატჩში ისელიძემ ჭაბუკებში უკანასკნელი, გამოსამშვიდობებელი თამაში ჩაატარა, 3 გოლი გაიტანა და თავის კოლექტივთან ერთად კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ისელიძე თამაშის მომენტში.

ფოტო ი. იუნაევისა.

# 150!

თბილისში რესპუბლიკის უძლიერეს ათლეტთა ახლახან დამთავრებული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში საინტერესო, დაძაბული შერკინებებით აღინიშნა. სასიხარულოა მონაწილეთა რიცხვიც: 150!

ახალგაზრდებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს.

ქვემსუბუქ წონაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისელი ცანავასა და ბათუმელი გოგიჩაიშვილის ორთაბრძოლას. ამ შეხვედრაში გამარჯვებული I ადგილზე გადიოდა. შეხვედრა ორივე ათლეტმა შეტევ სტილში დაიწყო. უპირატესობა ჯერ თბილისელის მხარეს იყო, რომელმაც მეტოქეს 2 ქულა აართვა, მაგრამ შემდგომში, უპირატესობის შენარჩუნების მიზნით, ცანავამ პასიური ბრძოლის ტაქტიკა არჩია, რაც მისთვის საბედისწერო გამოდგა. გოგიჩაიშვილმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი მოხდენილი ილეთით გამარჯვებასაც მიაღწია.

ქების ღირსია ქვესაშუალო წონის მოჭიდავე მარსაგიშვილი. იგი მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ მრავლისმნახველი ათლეტივით ჭიდაობს: ტაქტიკურად გააზრებულად და მახვილგონივრულად. მართალია, ეს ჭაბუკი ფინალში უფრო გამოცდილ და ძლიერ ფასურიშვილთან დამარცხდა, მაგრამ მისი მაღალი საბრძოლო თვისებები ამჯერადაც გამომჟღავნდა.

მოულოდნელი იყო ჭაბუკთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ა. ილურიძის საშუალო წონაში გამოსვლა. საქმე ისაა, რომ ამ ათლეტმა ზუსტად შეჯიბრების წინ გადაწყვიტა უფრო მაღალ წონით კატეგორიაში ეცადა ბედი. ფინალში ილურიძე უჯარიმოდ შევიდა, მის მთავარ მეტოქე ზანგალაძეს კი მხოლოდ 1 საჯარიმო ქულა ჰქონდა. ბრძოლა უაღრესად დაძაბულად წარიმართა, მაგრამ ძალები იმდენად თანაბარი იყო, რომ უპირატესობა არც ერთ მოჭიდავეს არ მიეკუთვნა. ფრე ილურიძისთვის საკმარისი აღმოჩნდა: მან I ადგილი დაისაკუთრა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქვემძიმე წონის ათლეტმა, სამედიცინო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა სეფაშვილმა, რომელმაც II ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. ქავთარაძემ, გ. ბასიაშვილმა (ორივე — თბილისი), გ. გოგიჩაიშვილმა (ბათუმი), ჰ. იაშვილმა, გ. ფასურიშვილმა, ა. ილურიძემ, რ. მოსეშვილმა, თ. ტაბუევმა (ყველა — თბილისი).

ტ. ფილიშვილი,
სპორტის ოსტატი.

# შესანიშნავი დასვენება

ტურისტული მატარებელი „საქართველო“ ამ დღეებში ბაქოს ეწვია. თბილისიდან და რუსთავიდან 500-ზე მეტი ტურისტი ჩავიდა აზერბაიჯანის დედაქალაქში. მასპინძლებმა ქართველ სტუმრებს ვოგზალზე ავტობუსები და ექსკურსიამძღოლები დაახვედრეს. იმ დღეს ტურისტებმა ბაქო დაათვალიერეს. მეორე დილით კი ავტობუსებმა გეზი სუმგაითისკენ აიღეს. სტუმრები ეწვივნენ ქარხნებსა და ახალმშენებლობებს, გაისეირნეს ზღვის სანაპიროზე. იმავე დღეს დაესწრნენ კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ დიდ სპორტულ ზეიმს ბაქოს ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. საღამოს ჭადრაკის მოყვარულებმა მეღმუშაკთა კლუბს მიაშურეს, სადაც ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა პაექრობა ტარდება. თუმცა, მათ დრო არც მგზავრობაში დაუკარგავთ. „სამტრესტის“ თბილისის ხაწარმოო კომბინატის ტურისტულმა ჯგუფმა გზაში ჩაატარა მოჭადრაკეთა პირველობა და საგანგებო პრიზიც გაითამაშა. ჯილდო კომბინატის ახალგაზრდა მუშამ თ. შენგელიამ დაისაკუთრა.

—ეს მოგზაურობა შესანიშნავი დასვენება იყო, — ამბობენ ტურისტები.

თ. ბაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაქო — თბილისი.

### ონი

რაიონის საშუალო სკოლების ნორჩ ფეხბურთელთა 7 გუნდი იბრძოდა გარდამავალი თასას მოსაპოვებლად. გადამწყვეტი მატჩი გაიმართა 1-ლი და მე-2 სკოლების გუნდებს შორის. ფინალური შეხვედრა ანგარიშით 3:2 მოიგეს მე-2 სკოლის ფეხბურთელებმა.

ლ. ბერიშვილი.

### შორაპანი

ელექტროელემენტების ქარხნას ფიზკულტურულმა საბჭომ ჩაატარა შიდასაქარხნო პირველობანი ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. პირველ ორ სახეობაში ბატარეიების საამქროს სპორტსმენებმა იმარჯვეს, ხოლო კალათბურთში — რელეს მექანიკური დამუშავების უბნის ათლეტებმა.

მ. მახარაძე.

# გუნდში ცვლილებაა

## შენიშვნები ფრენბურთზე

ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ი. კლეშჩევმა ერთ-ერთ ჟურნალისტს უთხრა, რომ მის გუნდს ნებისმიერი საპრიზო ადგილი აძლევს ხელს. მწვრთნელს მაშინ ეს განცხადება მოკრძალებად ჩამოართვეს. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ოლიმპიური ჩემპიონები ოქროს მედლებს უმიზნებდნენ. მაგრამ საბჭოთა გუნდი მართლაც „ერთ-ერთ საპრიზო ადგილს“ დასჯერდა, თანაც, ბოლო საპრიზო ადგილს.

მარცხი? უდავო. პრაღის ჩემპიონატი გვარწმუნებს, რომ ოლიმპიური თამაშების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იაპონიის და გდრ-ის ფრენბურთელებთან შედარებით დიდი ნაბიჯი როდი გადაუდგამს წინ.

ვფიქრობ, გუნდის მარცხი ჯერ კიდევ ჩემპიონატამდე დაიწყო. ნაკრების დაკომპლექტებისა და ერთიანი ანსამბლის შექმნისთვის ორი გზა არსებობს. ან ერთ შეთამაშებულ, ასე ვთქვათ, მზა საკლუბო გუნდს სხვა კლუბებიდან უმატებენ რამდენიმე ძლიერ მოთამაშეს, ან გუნდის დაკომპლექტებისას სხვადასხვა კლუბს ეძლევა ფართო წარმომადგენლობა.

ამჟამად ჩვენი ნაკრების ბაზად უმაღლესი ლიგის არც ერთი გუნდი არ გამოდგება. ესე იგი, რჩებოდა მხოლოდ მეორე გზა, რომელიც მწვრთნელისგან თავდაპირველად სელექციონერის ნიჭს მოითხოვდა, შემდეგ კი ტალანტს კონსტრუქტორისა, რომელსაც სხვადასხვა ნაწილისგან უნდა შეექმნა ერთიანი, აწყობილი მექანიზმი. გუნდის მწვრთნელებმა ი. კლეშჩევმა და ნ. მიხეევმა ნაკრების დაკომპლექტების სწორედ ამ ხერხს მიმართეს, მაგრამ იგი მეტად სწორხაზობრივად გაიგეს. მაგალითად, ქვეყნის ჩემპიონი და გუნდი, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატში VII ადგილი დაიკავა, ნაკრებში ერთნაირად იყვნენ წარმოდგენილი. მწვრთნელებმა გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს კოვალენკო და სანაკოევი, მოთამაშეები, რომლებიც აშკარად ვერ პასუხობდნენ დღევანდელ მაღალ მოთხოვნებს. ამ დროს მათ უარი თქვეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ბომბარდირზე ე. სიბირიაკოვზე. ნაკრებში არ ათამაშეს არც გამოცდილი ფრენბურთელი გ. მონძოლევსკი, რომელიც პრაღის ბატალიების საპასუხისმგებლო ეპიზოდებში უთუოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ცნობილი საბჭოთა სპეციალისტის ე. ალექსეევის აზრი. იგი პრაღაში მეთვალყურედ იყო.

გუნდის წარუმატებლობას დიდად შეუწყო ხელი ძირითადი გამთამაშებლის ი. პოიარკოვის მეტად უხეირო თამაშმა. იერიშის კარგად დამთავრებისთვის ბომბარდირს ისეთი პირობები უნდა შეუქმნა, რომ მან შეძლოს თავისი უნარის სიგრძე-სიგანით ჩვენება, მაგრამ ამას საბჭოთა თავდამსხმელები ამაოდ ელოდნენ.

ვთქვათ, ე. ლაპინსკიმ მწვრთნელთა ყურადღება იმით მიიქცია, რომ მას, როგორც სხვას არავის, შეუძლია ბადის კუთხეებში ნახევრადგასწვრივი გადაცემებიდან საბოლოო დარტყმით ქულის მოპოვება. ასე იყო, როცა ლაპინსკი ოდესის „ბურევესტნიკში“ თამაშობდა, ნაკრებში კი იგი მუდამ სადღაც შუა ბადესთან ტრიალებდა და იძულებული იყო შეტევა მაღალი გადაცემებიდან განეხორციელებინა, ვინაიდან სხვანაირ ბურთებს მას არ აწოდებდნენ.

ცნობილია, რა ოსტატურად ახორციელებდა გადამწყვეტ დარტყმას მოკლე გადაცემებიდან და მფრინავ ბურთზე (ყველაზე მზაკვრული და შედეგიანი დარტყმა) ი. ბუგაენკოვი რიგის „რადიოტექნიკაში“, ან გასულ წლებში ნაკრებში თამაშის დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერად მის გვერდით არ იყვნენ მეშჩერსკი (რომელიც მას ასეთ ბურთებს აწვდის „რადიოტექნიკაში“) და ისინი, ვინც ადრე მასთან ერთად თამაშობდა ნაკრებში, ვისაც კარგად ესმოდა მისი. ბუგაენკოვი იძულებული იყო შეეგუებოდა მეტად მაღალ გადაცემებს. დაახლოებით ასეთივე ბედი ეწიათ დ. ვოსკობოინიკოვს და ვ. კრავჩენკოსაც.

ნ. ბურობინს მწვრთნელები საერთოდ ნაკლებად ენდობოდნენ. იგი, ჩვეულებრივ, გამოჰყავდათ უკანა ხაზზე ბურთის მისაღებად და დაცვაში სათამაშოდ. თუმცა ეს გამოცდილი ფრენბურთელი იმავე პრაღაში 1958 წლის ევროპის ჩემპიონატის დროს საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ აღიარეს და კონტინენტის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს. ბურობინი ახლაც როდი თამაშობდა უკუდად თუ ბადესთან გადიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მომენტი იშვიათი იყო.

პოიარკოვს ჩემპიონატშიც რომ ისე ეთამაშა, როგორც ჩემპიონატამდე, შესაძლოა ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. მაგრამ ამ შესანიშნავ ოსტატს რაღაც დაემართა, ტურნირის ბოლომდე ვერა და ვერ იპოვა თავისი თავი. ი. ვენგეროვსკის კი, ე. ალექსეევის ღრმა რწმენით, პოიარკოვის შეცვლა არ შეეძლო. ვენგეროვსკი საუცხოო დამხმარე თავდამსხმელია, მაგრამ მწვრთნელები ცდილობდნენ მხოლოდდამხოლოდ გამთამაშებლად გამოეყენებინათ იგი. როგორც ჩანს, ეს შეცდომა იყო და ახლა ვენგეროვსკი ნაკრების შემადგენლობიდან გამოიყვანეს.

მსოფლიო ჩემპიონატი თამაშის ახლებური წესებით ტარდებოდა. ევროპისა და აზიის მოწინავე გუნდებმა შეძლეს ტაქტიკა ამ წესების შესაბამისად შეეცვალათ. ახლა მცველთა ხელები დამოკლეს მახვილივით აღმართულა ბომბარდირთა თავზე ბადის მიღმა. მოწინააღმდეგის მეხუთე და მეექვსე ზონაზე იერიში იოლი აღარ არის, — შეიძლება ბლოკში მოემწყვდე. თავდამსხმელებს ახალი მანევრების ძებნა დასჭირდათ. იმას, ვინც მაღალია და კარგად ხტება, შეუძლია ზევიდან დაარტყას, სხვები იერიშს ბადის კუთხეებიდან, ნახევრადგასწვრივი გადაცემებით ახორციელებენ. ასე თამაშობდნენ პრაღაში ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იაპონიისა და გდრ-ის ფრენბურთელები.

თუმცა, ეს ხომ არც საბჭოთა ფრენბურთელებისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას! ჩვენმა საკლუბო გუნდებმაც შეითვისეს ახალი წესები და მათი იერიშის შედეგიანობა ამით არ შემცირებულა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მოხდა საკლუბო გუნდებში და არა ეროვნულ ნაკრებში.

თავის დროზე სსრ კავშირის ნაკრებს ოთხი საუკეთესო ბომბარდირი ჰყავდა: ი. ჩესნოკოვი, ვ. კოვალენკო, დ. ვოსკობოინიკოვი და ი. ბუგაენკოვი. ჩესნოკოვმა და კოვალენკომ გუნდი დატოვეს, — მათი ღირსეული ცვლა ვერ გამოიძებნა. ვოსკობოინიკოვი და ბუგაენკოვი კი დიდად არ დაოსტატებულან. ნაკრების მოიერიშე ძალა შესამჩნევად შესუსტდა. ამ ვითარებაში, რასაკვირველია, მოძველებული, ეგრეთწოდებული „რაციონალური ტაქტიკა“ („ერთი-ორი-სამი“) წარმატებას ვერ მოიტანდა. მაგრამ კლეშჩევის გუნდი თამაშის სწორედ ამ მანერის ერთგული რჩებოდა.

რა თქმა უნდა, პრაღაში საბჭოთა გუნდის წარუმატებლობა გამოუსწორებელი უბედურება არაა. ჩვენი ფრენბურთელები საკმაოდ ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ მეტოქეებს და უმეტესად მხოლოდ მეხუთე პარტიაში აგებდნენ მატჩებს. საბჭოთა გუნდს არც ერთი გამანადგურებელი დამარცხება არ განუცდია.

მაგრამ მწვრთნელებს ი. კლეშჩევს და გ. ახვლედიანს (ეს უკანასკნელი კვლავ ჩაუდგა სათავეში ნაკრებს), უთუოდ ბევრი რამ აქვთ გადასაწყვეტი, ვიდრე მეხიკოს ოლიმპიური თამაშები დაიწყებოდეს.

ნაკრებში უკვე მოხდა რამდენიმე ცვლილება: გუნდის შემადგენლობიდან, ვენგეროვსკის გარდა, გამოიყვანეს ბურობინი, კოვალენკო და სანაკოევი. გათავისუფლებული ადგილები ჯერჯერობით ვაკანტურია. მწვრთნელები მათ შევსებას არ ჩქარობენ. ეტყობა, ამჯერად, შეუცდომლად სურთ იმოქმედონ.

ვ. პუგაჩოვი.

# ძველი სპორტის ქრონიკა

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა ვ. სიდამონიძემ

● „გუშინწინ, კვირას, 11 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, „იტალიის ბაღში“ გაიმართა ჭიდაობა, პირველში, ჩვეულებისამებრ, ჭიდაობა პატარა ბიჭებიდან დაიწყეს, ხალხი ძალიან დიდ-ძალი მოაწყდა ბაღს. ასე რომ ბილეთები სულ გაიყიდა. ერთი ასამდემ ძალად გაარღვია პოლიციელნი და შევიდა და ორას-სამასი კიდევ გარეთ იდგა და ელოდა, აბა ვნახოთ ვინ რა ამბავს გამოიტანსო, ვინ ვის დაამარცხებს და ვინ გაიმარჯვებსო. ხალხის ასე ძლიერად თავმოყრის მიზეზი ის იყო, რომ ახალგაზრდა ესებუას ეჭიდავებოდა ძველი მოჭიდავე ღოღაძე. პატარა სასიამოვნო ჭიდილის შემდეგ გამოვიდნენ ვიღაც მედროგე და მუხრანელი, ის, რომელიც წარსულ კვირას დაეჭიდა ესებუას და წაქცეულ იქნა. მუხრანელს არც ამ კვირია გაუმარჯვნია. ამ კვირიაც დამარცხდა. მოჭიდავეს ეტყობა, ხამია. გარემო მოწყობილობა და იმდენის ხალხის შეკრებილება აოცებს და ვგონებ ამით აიხსნება, რომ ჩვეულებრივ მოჭიდავეებისამებრ თავისუფლად არ გამოდის მოედანზე. ამათ შემდეგ გამოვიდნენ უპირველესნი მოჭიდავენნი ესებუა და ღოღაძე. ესებუასთან შედარებით მოწინააღმდეგე მკვრივად ჩასხმული, სხვილძვალ მკლავ-ძარღვა და წითური ვაჟკაცია. გამოსვლისთანავე, დაეტაკნენ თუ არა ერთმანეთს მებრძოლნი, ღოღაძემ თავისდაუნებურად წაიჩოქა. ესებუაც იმის მაგალითს მიჰყვა, ქვემოდან მხრებში წაავლო, გადაზნიქა, ძალა-უნებურად ფეხები გვერდზე წააღებინა და თუმცა ღოღაძე ბევრსა ცდილობდა თავი შეემაგრებინა, მაინც პირდაღმა გადააქცია ესებუამ და ზურგზე დასცა. ასეთი არაფელავნური გამარჯვება საზოგადოებას არ მოეწონა, კვლავ იმათი დაჭიდება მოითხოვა და ისინიც დაიჭიდნენ. ღოღაძემ კვლავ წაიჩოქა, მუხლის თავები და მკლავის იდაყვები დედამ დააბჯინა კუსავით და აღარ დაიძ თუმცა ესებუამ ბევრი ურბინა ხან მა ჯვნივ და ხან მარცხნივ, ფეხზე წამ ყენება მოუწადინა, მაგრამ ვერას გ და-რა. ბოლოს ხალხის თხოვნით გ ველდნენ. ქალაქის ბიჭობა კიდევ ინც ესებუას უსტვენდა, თუმცა იყო გამარჯვებული. ეტყობა გლდა ლის დამარცხება ვერ მოუნელებიათ“

(„ივერია“, 1888 წ. № 191)

● „დღეს, 30-ს ოქტომბერს, „იტ ლიის ბაღში“ დანიშნულია ჭიდა კულა გლდანელისა და გურამელი თუ გლდანელმა სძლია გურამელს, ზინ იგი იწვევს საჭიდაოდ ნესტ ესებუას. როგორც სჩანს გლდანელს დევ ერთხელ ჰსურს სცადოს ბედი არ უნდა პირველის, უძლეველის ჭიდავის სახელი სხვას დაუთმოს. თუ ცა ჭიდაობის წესი ნებას არ აძლ ხელმეორედ დაეჭიდოს ნესტორ ესებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვრთნელების მღელვარება და სიხარული

რაც დრო გადის, მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი სულ უფრო ... ბუნდოვანი ხდება. იქნებ, ფინიშის მოახლოებამ იხსნას მიმომხილველები, რომელთა პროგნოზებიდან „ნამსხვრევებიღა" დარჩა.

საღამოობით მოჭადრაკეები დიდი შეუპოვრობით ებრძვიან ერთმანეთს, დღისით ჩაღდება არანაკლებ მძაფრი (თუმცა, ჩუმი) „ომი" მათ მწვრთნელებს შორის. ისინი ათასნაირ მახეს უგებენ ერთმანეთს. მაგალითად, ყოველი სპეციალისტი გეტყვით, რომ ალექსანდრია მედიანიკოვაზე გაცილებით ძლიერად თამაშობს. მაგრამ მედიანიკოვასთან შეხვედრაში ნანამ დებიუტიდან ისეთი პოზიცია მიიღო შავებით, რომ ლენინგრადელის იერიში მოუგერიებელი აღმოჩნდა. ვინ დაამარცხა ნანა — მედიანიკოვამ, თუ მისმა მწვრთნელმა, ოსტატმა კრუტიანსკიმ? სხვათა შორის, თბილისელმა სტუდენტმა მტკიცე ხასიათი გამოამჟღავნა. მეორე დღეს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე მოუგო შეუპოვარ ა. მუსლიმოვას (და მის მწვრთნელს, ოსტატ ა. გუსევს).



სურათზე: ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირი ბაქოში. ერთმანეთს ხვდებიან თ. გიორგაძე (მარცხნივ) და ა. დემირხანიანი (ერევანი).

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

თავისი მოწაფის შედეგებით ჯერჯერობით კმაყოფილია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მაკოგონოვი. ერთ დროს მას „ბაქოს ციხე-სიმაგრეს" უწოდებდნენ, ახლა იგივე ითქმის ტ. ზატულოვსკაიას მიმართ. მაგრამ ბაქოელი ოსტატისთვის გუნდრუკის კმევა ადრეა. მას ფინიშზე ჯერ თითქმის არც ერთ მთავარ მეტოქესთან არ უთამაშია.

საერთაშორისო ოსტატი ა. ხასინი თამაშის დროს მუდამ ნერვიულობს — ე. რუბცოვას მოსაგები პოზიციის შექმნა და შემდეგ ენით აუწერელი „არევდარევა" დასჩემდა. ზოგჯერ ელენე ისეთ სახიფათო მდგომარეობაშია, რომ ა. ხასინი „მთელ იმედს" მის მეტოქეზე ამყარებს. ა. ჩაიკოვსკაიამ და თ. გოლოვეიმ გაუმართლეს მოსკოველ მწვრთნელს, მაგრამ გ. არჩაკოვამ გული დასწყვიტა მას. მინსკელს მეტოქისთვის მუდმივი ქიშის გამოცხადებაც შეეძლო (ო, როგორ სურდათ ეს ა. ხასინსა და ე. რუბცოვას) და საშამათო იერიშის გაგრძელებაც. რა თქმა უნდა, არჩაკოვამ მოწინააღმდეგე მეფის დაშამათება არჩია!

ოსტატი ა. კიარნერი საოპერო მუსიკის კარგი მცოდნეა. ალბათ, ამიტომ ღიღინებს იგი ცნობილ არიას „მეფის საცოლედან", ცხადია, ერთგვარი ცვლილებებით: „ვერ ვცნობ... მაია რანიკუს". საქმე ისაა, რომ გამოჩენილი ესტონელი ოსტატი მართლაც ვერაა ჩვეულ ფორმაში.

კმაყოფილია ბ. გურგენიძე: ალექსანდრია მშვენივრად თამაშობს. თუმცა, ნანას წინ ძნელი ფინიში უძევს. მ. შიშოვიც აქებს ჩაიკოვსკაიას, მაგრამ, მოდით, ნუ ავყვებით მწვრთნელებს. მ. თხელიძე ყოველი პარტიის შემდეგ „უჩივის" კაკაბაძეს: პირდაპირ საოცარია, როგორ მოსდის ელისოს ამდენი შეცდომაო.

ლ. იდელჩიკს ახლა „მთელი უკრაინა" წვრთნის. იგივე შეიძლება ითქვას ტ. მოროზოვაზეც. როცა ლვოველი მოჭადრაკის პატურნირო მდგომარეობა რამდენადმე გაუარესდა, კიევში სასწრაფოდ ჩამოვიდა მისი „მთავარი მწვრთნელი" — მეუღლე.

არა გვგონია, ჭადრაკის ისტორიას ახსოვდეს მეორე ასეთი შემთხვევა: ახალგაზრდა ოსტატი ე. ბებჩუკი წვრთნის თავის ... სიდედრს — საბჭოთა ჭადრაკის ვეტერანს ვ. ტიხომიროვას.

ბრძოლა ერთობ გამძაფრდა.

ო. ბუჩმა.

კიევი.

XXVI ჩემპიონატი

# ....მოსკონიზე არაფერი ვიცით"

„ამას წინათ თქვენი გაზეთის ფურცლებზე წავიკითხეთ, რომ მალე ჩატარდება მოცურავეთა საინტერესო მატჩი ვიგანდის, ბელიც-გეიმანის, შოლანდერისა და მოსკონის მონაწილეობით. სხვებზე ბევრი რამ გვსმენია, მაგრამ მოსკონიზე არაფერი ვიცით. გთხოვთ, გვიამბოთ მასზე.

ე. ეფრემაშვილი,

ე. ასათიანი,

(ქუთაისი)".

## ... პასუხი...

ალენ მოსკონიმ მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. როგორც კი ტელეგრაფმა ეს ამბავი გადასცა, იტალიის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა, მსოფლიოს რეკორდსმენი იტალიელიაო.

საქმე ის გახლავთ, რომ ალენის მამა მართლაც იტალიელია, დედა კი წმინდა წყლის ფრანგი. ალენი მათი შეუღლებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე — 1949 წლის 19 სექტემბერს დაიბადა ტულუზაში. შემდეგ მოსკონები საცხოვრებლად მარსელში გადავიდნენ. ალენმა ცურვა აქ დაიწყო პ. ჟარეს ხელმძღვანელობით.

თავდაპირველად ახალბედა მოცურავე ბატერფლაის სტილმა გაიტაცა და კარგი შედეგებიც ჰქონდა, მაგრამ შემდეგ კვალიფიკაცია შეიცვალა და თავისუფალ სტილს დაეუფლა. მოსკონიმ ზედიზედ დაამყარა საფრანგეთის რეკორდები 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილითა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. წლევანდლამდე მას ევროპაში მხოლოდ „მრავლისაღმთქმელ ჭაბუკად" იცნობდნენ. წლეულს კი უტრეხტში გამართულ ევროპულ ჩემპიონატში ალენმა ფენომენალური დრო — 1.01,8 — აჩვენა თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვის ბოლო 100 მეტრზე. უკეთესი შედეგი ამ მონაკვეთზე — 1.01,7 — მხოლოდ ტოკიოს ოლიმპიადაში ოთხზის გამარჯვებულ დ. შოლანდერს (აშშ) ჰქონდა მთელს მსოფლიოში. უტრეხტში მოსკონიმ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ფრანგმა ჭაბუკმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზე ცურვის რაციონალური ყაიდითა და ელეგანტურობით.

... მეხიკო. „საერთაშორისო სპორტის II კვირეული". მოცურავეთა ასპარეზობა. მოსკონიმ ოთხჯერ სცადა ძალა და ოთხივეჯერ იმარჯვა — მოიგო 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა, ყველას აჯობა, აგრეთვე, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში და ესტაფეტაში 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით. მაგრამ ამჯერად მისი შედეგი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (4.23,8) ბევრად ჩამორჩებოდა უტრეხტულ მაჩვენებელს (4.13,6). ამას სპორტსმენი მხოლოდ ზღვის დონიდან მეხიკოს დიდი სიმაღლით ხსნიდა.

მართლაც, რამდენიმე დღის მერე მოსკონიმ ბარში, აკაპულკას ქუზში ისპარეზა და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფენომენალური დრო — 4.10,5 — აჩვენა, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია. ძველი რეკორდი ვიგანდს (გდრ) ეკუთვნოდა. აი, ამ ორი რეკორდსმენის მაჩვენებლების შედარების სურათი: პირველი 100 მეტრი მოსკონიმ 1.00,7-ში გაცურა (ვიგანდმა — 58,8), მეორე — 1.03,5 (ვიგანდმა — 1.04,5), მესამე — 1.02,9 (ვიგანდმა — 1.04,4), ბოლო — 1.03,4 (ვიგანდმა — 1.03,8).

ახლა მოსკონი ოთხთა მატჩისთვის ემზადება. ვნახოთ, ვის გაუღიმებს ბედი. სპეციალისტების აზრით, ამ შეჯიბრებაში უთუოდ უნდა იშვას მსოფლიოს ახალი რეკორდი, მაგრამ ვინ იქნება მისი ავტორი, ამის თქმა ყველას უჭირს, ვინაიდან მეტოქეთა შანსები თითქმის თანაბარია.

ცურვა

ჭადრაკი

# ფართო ჰორიზონტი

## ქართველი ეტიუდისტები საერთაშორისო სარბიელზე

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ქართულმა საჭადრაკო ეტიუდმა მტკიცედ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზზე. ამჟამად მსოფლიოში არ ტარდება თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში, რომ მასში არ მონაწილეობდეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი. ამას წინათ ცნობილი გახდა ორი საერთაშორისო კონკურსის შედეგები, სადაც თავი ისახელა ქართველი ეტიუდისტების ტრიომ.

ჟურნალ „ჩესკოსლოვენსკი შახის" 1965 წლის კონკურსში მსაჯმა — ჩეხმა ეტიუდისტმა ფ. რიხტერმა II პრიზი მიაკუთვნა ვ. კალანდაძის, ხოლო III პრიზი — გ. ნადარეიშვილის ნაწარმოებს.

ოდესის გაზეთ „კომსომოლსკაია ისკრას" მიერ 1965 წელს მოწყობილ საერთაშორისო კონკურსში, რომელსაც სჯიდა ცნობილი საბჭოთა ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში, დნეპროპეტროვსკელი ტ. გორგიევი, III პრიზი მიიღო ვ. ნეიძის ეტიუდმა.

მოგვყავს პრემირებული ნაწარმოებების ამოხსნები კომენტარებით.

ვ. კალანდაძის ეტიუდი მინიატურულ ფორმას (ე. ი. საწყის პოზიციაში არ არის შვიდზე მეტი ფიგურა) მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ შავებს ზედმეტი ეტლი აქვთ, თეთრების გამსვლელი პაიკი ბრძოლის შანსებს ათანაბრებს.

(იხ. პირველი დიაგრამა).

**1. b7 ეh1+** (ეტლი ცდილობს გაიჭრას მე-8 ჰორიზონტალზე). **2. მფg7 კf6+! 3. მფ:f6 ეh8** (შავებმა ჩანაფიქრი განახორციელეს, მაგრამ ირკვევა, რომ სანუკვარი ჰორიზონტალი არც ისე მყუდროა შავი ეტლისათვის). **4. მფg7 ეd8.**

არვარგა 4. ...ეe8 5. მფf7 ეd8 6. კc7 ეh8 7. კd6+ და 8. კf8 თეთრების მოგებით.

**5. კc7 მფb5!** შავები ფარ-ხმალს არ ყრიან **6. კ:d8 მფa6.**

ახლა ნათელი ხდება მათი ჩანაფიქრი (7. b8ლ პატი!) **7. b8ე!** და თეთრები იგებენ.

ასევე მინიატურაა გ. ნადარეიშვილის ეტიუდი. შავების განაპირა პაიკი ისე შორსაა გაჭრილი, რომ მის შეჩერებას თეთრების მთელი კავალერია სჭირდება:

(იხ. მეორე დიაგრამა).

**1. მc8+!** (თითქოს უკეთესი უნდა იყოს 1. მc6+, მაგრამ **1. ...მფb7!** და მოგება არ ჩანს). **1. ...მფa6** (1. ...მფa8? 2. მc:b6+ მფa7 3. მc8+მფa8 4. მფd6! h2 5. მფc7 h1ლ 6. მdb6×) **2. მb8+ მფa5.**

შავ მეფეს მეტად ზუსტი თამაში მართებს, რათა თეთრების რომელიმე მხედარმა ქიშის შედეგად საჭირო ტემპი არ მოიგოს და ამით h3 პაიკი არ შეაჩეროს. თუ 2. ...მფb7, მაშინ 3. მd6+მფ:b8 4. მe4 h2 5. მf2 მფc7 6. მფd5 მოგებით

**3. მc6+ მფa4! 4. მ:b6+ მფa3 5. მc4+ მფa2 6. მb4+მფa1 7. მd3** და თეთრები იგებენ.

როგორც ამოხსნიდან ირკვევა, განხორციელდა მხედრების საინტერესო და ორიგინალური სისტემატური მოძრაობა, რომლის „პატენტის მფლობელიც" გ. ნადარეიშვილია. ეს ეტიუდი წარმოადგენს ამ თემის („მხედრულის") შემდგომ გაღრმავებას.

ვ. ნეიძის ეტიუდის საწყისი პოზიცია გადადებულ პარტიას მოგვაგონებს, სადაც, ერთი შეხედვით, თეთრების მოგებაზე თამაში ჯიუტი მოჭადრაკის სურვილს უფრო გავს, ვიდრე რეალობას. თუმცა ეტიუდში პირველი შთაბეჭდილება ხშირად მაცდურია.

(იხ. მესამე დიაგრამა).

**1. მd7+ მფd5** (ერთადერთი სვლაა) **2. მ:b6+**

თეთრებმა ააგეს პირველი ბატარეა, რომელსაც მოწინააღმდეგის მეფე და ლაზიერი უნდა ერიდონ ჩასაფრებული ეტლის გამო.

**2. ...მფe4!** (კვლავ ერთადერთი ნავთსაყუდელი). **3. მd7!** (ბატარეის „გასროლა", რაც შავ ლაზიერს აიძულებს მონახოს თავშესაფარი). **3. ...ლf7** (სხვა სვლები აგებდა მხედრის ჩანგლის გამო). **4. ეa7!!**

თეთრებმა მეორედ ააგეს ბატარეა, მხოლოდ ახლა ერთი ჰორიზონტალით ზევით. **4. ...ლe7.**

შავები შეზღუდული არიან, ვინაიდან ახლა არ შეიძლება 4. ...მფf5 5. g4+ ან 5. e4+ -ის გამო, 4. ...ლc4? აგებს 5. ეa4ლ:a4 6. მc5+-ის შემდეგ, ხოლო 4. ...ლg6+ 5. ეa4+ მფd5 6. ეd4+ -ის შემდეგ.

**5. g4!** (შემპარავი სვლა, რომელიც უკიდურესად ბორკავს შავებს) **5. ...ლd8, 6. ეa4+ მფd5 7. ეd4+** (თეთრებმა ააგეს მესამე და ამჯერად გადამწყვეტი ბატარეა, რომლის ცეცხლს შავები ველარ უძლებენ). **7. ...მფc6 (e6) 8. მe5 (c5)** + და თეთრები იგებენ.

ვ. ნეიძე,

ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის კომპოზიციის კომისიის მდივანი.



პირველი დიაგრამა.



მეორე დიაგრამა.



მესამე დიაგრამა.

ამ, რომელმაც რამდენიმე თვის წინად გლდანელი ისე დასცა, რომ მისი დამარცხება უეჭველი იყო და ონელმა მესტვირემ ლექსით შეამკო ესებუას გამარჯვება".

(„ივერია", 1888 წ. № 228).

● „ჩვენ მივიღეთ ორი დეპეშა როსტოვიდან. ერთში, რომელსაც 22 ოქტომბრის თარიღი უზის, გვწერენ, რომ ორჯელ ეჭიდავა კულა გლდანელი სურის ცირკში მოწინააღმდეგეს, ორჯერვე წააქცია და, როგორც წესია, ზურგზე დასცაო ამას გვწერს ცირკის დირექტორი სური. მეორეში გვწერენ — 21 ოქტომბრის თარიღით, რომ დღეს სურის ცირკში ჭიდაობაზედ შეიკრიბა დიდი ძალი ხალხი და დონის ნახჩევნის მცხოვრებელმა გრიგოლ არცატმანიანმა გალახა კულა გლდანელიო".

(„ივერია", 1889 წ. № 225).

● „პარასკევს, 9 თებერვალს „ნოვი სვეტის" ბაღში, მუშტაიდის ახლო გამართულ იქნება ჭიდაობა ცირკის ნრგე და ღონიერი კაცის სტეპინსა და ტფილისის მოჭიდავე კულა გლდანელს შორის".

(„ივერია", 1890 წ. № 29).

● „ბათუმი: ამას წინად წავიდა აქედამ გურიაში ჩიკაგოს გამოფენის გამგებელთა სანდო კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, შეკრიბე რამდენიმე ცხენოსანი გურული ვაჟკაცი და ჩიკაგოს გამოგზავნეო. ამ კაცს უკვე შეუკრებია ეს დასი, რომელშიაც 10 კარგი ვაჟ-კაცია, მშვენივრად გამოწყობილი და შეთოფ-იარაღებული. ეს დასი 13 თებერვალს უკვე ჩამოვიდა ბათუმს და მოკლე ხანში გაემგზავრება კიდეც ამერიკას".

(„ივერია", 1893 წ. № 36).

● „ჩვენ რედაქციას ამ დღეებში თხუთმეტი კავკასიელი ეწვია. ყველანი საუკეთესო და თამამი მხედარნი არიან. ეს კავკასიელები ჩიკაგოს მიემგზავრებიან ბ-ნ ერკოლის მეთაურობით — ჩიკაგოს გამოფენაზედ სხვათაშორის დოღი გაიმართება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის კავალერისტები, გერმანელი ულანები, ინგლისელები, ამერიკის ინდიელები და ეს კავკასიელნიც. კავკასიელ მხედართა მეთაური, ბ-ნი ერკოლი გამოცდილი კაცია და დარწმუნებულია, ჩემი დასი გაიმარჯვებს დოღშიო. ცხენები უკვე გაუგზავნიათ გემით ამერიკაში. დასს მეთაურობს ერისთავი. მეთაური დასისა არაფრით განირჩევა თავის ამხანაგებისაგან: შავი ტყავის ქუდი ჰხურავს, ნაბადი, წითელი ტანსაცმელი აცვია, მასრებით: შეიარაღებულია გრძელი დამბაჩებით და ხმლით, ხმლის ტარი ჩუქურთმიანი, ქარქაში შავი ტყავისაა.

ყველანი საქართველოს მკვიდრნი არიან და ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა მტერთან ბრძოლაში და ყველანი რუსეთის ჯარში ყოფილან, თუმცა იმ ერის ენა სრულებით არ იციან, რომელსაც ემსახურებიან.

საკვირველ სურათს წარმოადგენენ ეს მეომარნი: სახე ერთსა და იმავე დროს მკაცრიცა აქვთ და წყნარიც: შავი, ჭკვიანი თვალები და შავი გრძელი წვერი რაღაც უცნაურ ელფერსა სდებს მათ სახეს".

(გადმობეჭდილია პარიზის გაზეთიდან. „ივერია", 1893 წ. № 58).

● „ბათუმი: კვირაცხოვლობა დღეს დიდი ბურთის თამაშობა გაიმართა. ბურთაობდნენ გურულნი და მეგრელნი. წინა-პირველად გამარჯვება უფრო მეგრელთ ეტყობოდათ, მაგრამ მერე კი ისევ გურულებმა გაიმარჯვეს: ბურთის თამაშობაში ერივნენ ხონელებიც და აქაური ქართველი ინტელიგენტებიც. როცა გაჭირდა საქმე, დასძახეს გურულებმა „ჰე იმას"! ბურთი გაიშალა. ერთმა გურულმა ხელთ იგდო, გამპა და კიდეც გაიტანა ლელო".

(„ივერია", 1898 წ. № 77).

# ყოველი მხრიდან

## როუზი ხუმრობის გუნებაზეა

ლათინური ამერიკის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ ლონდონში განაცხადეს სასტიკი პროტესტი იმის გამო, რომ „დიდ ბრიტანეთს მსოფლიო ჩემპიონატში გამოჰყავს 4 გუნდი (ინგლისი, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია და შოტლანდია), როცა დანარჩენი ქვეყნები თითო გუნდით მონაწილეობენ". ახლა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებმა თავიანთი წინადადება წამოაყენეს და მისი ფიფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე განხილვა მოითხოვეს.

ჟურნალისტთა შეკითხვებს სამხრეთამერიკელთა წინადადების თაობაზე პასუხი გასცეს ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა, დოქტორმა კეზერმა და ფიფა-ს პრეზიდენტმა, სერ სტენლი როუზმა. კეზერმა განაცხადა, რომ ამ პრობლემათა განხილვა „უახლოს ხანებში დაგეგმილი არ არის". როუზმა კი გადაწყვიტა ხუმრობით გასულიყო ფონს: „რა გინდათ ჩემგან? ირლანდიისა და უელსის ფეხბურთელები ინგლისის ნაკრებში არასოდეს გამოსულან და არც ახლა აპირებენ ჩვენს გუნდში თამაშს. რაც შეეხება შოტლანდიას, როგორ შეიძლება საკვალიფიკაციო თამაშებში არ დაუშვა იმ ქვეყნის გუნდი, სადაც ფეხბურთი მესამე ადგილზეა ვისკისა და რეგბის შემდეგ?".

ერთი სიტყვით, როუზმა იხუმრა, მაგრამ მოახერხებს კი იგი ამ გზით აიცილოს თავიდან თანამედროვე ფეხბურთში წამოჭრილი პრობლემები?

## პროფესიონალის „პატიოსნება"

*ჩვენ უკვე ვწერდით ამერიკელი მოკრივის კარლოს ორტიცისა და მექსიკაში მცხოვრებ ულტიმინიო რამოსის ბრძოლაზე. ამერიკელი მსუბუქ წონაში პროფესიულ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს იცავდა. მან რამოსს „მექსიკელი ღორი" უწოდა და შეხვედრის გაგრძელებაზე უარი თქვა იმ მიზეზით, რომ მეტოქეს წარბი დაუზიანდა. იგი მსაჯსაც დაემუქრა, მუშტი მოუღერა და თაღლითი უწოდა.*

*ორტიცის საქციელმა მეხიკო-სიტის სპორტული საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. ხულიგანი პოლიციამ ძლივს გააპარა რინგიდან. მაგრამ ვის უნდა დარჩენოდა მსოფლიო ჩემპიონობა? კრივის მსოფლიო ასოციაციამ, ამერიკელთა დიდი თავგამოდების მიუხედავად, ბრძოლა სხვა დროისთვის გადაიტანა. მაგრამ ორტიცს დისკვალიფიკაცია მაინც არ მისცეს, თუმცა საამისოდ საკმარისი საფუძველი ჰქონდათ.*

*მატჩი გადატანილია 1967 წლის 29 იანვრისთვის. მაგრამ მიიღებს კი მასში მონაწილეობას ორტიცი, თავგამოდებული რასისტი, რომელმაც დაიფიცა რამოსთან აღარასოდეს გამოვალ რინგზეო. ყოველ შემთხვევაში, შეხვედრის ორგანიზატორებმა წინასწარ მოითხოვეს საგარანტიო თანხა 5.000 დოლარის რაოდენობით. ორტიცის მენაჯერმა ბილ დალიმ მაშინვე გასცა ქვითარი. ვინ იცის, იქნებ ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო, მომავალი ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ქვითრით რომ არ დაინტერესებულიყო (მან, ალბათ, ჩინებულად იცოდა პროფესიული რინგის ზნე-ჩვეულებანი). ბანკმა უარი თქვა გაცემული საბუთის მიღებაზე. ერთი სიტყვით, ფულის ნაცვლად ამერიკელებმა ორგანიზატორებს მიაჩეჩეს ქაღალდი, რომელსაც ჩალის ფასი ჰქონდა.*

*ქვითარს რომ გადასცემდა, ბილ დალიმ თქვა: „დაე, ეს იყოს ჩვენი პროფესიული პატიოსნების გარანტია". რა გვეთქმის, კარგი პატიოსნებაა!*

## ღვთის მსახურნი... შაშხანებით

დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა" ამ დღეებში გამოაქვეყნა ფოტოსურათი: სასროლეთზე სამიზნეების წინ წევს ოთხი მონაზონი და გულდასმით ისვრის. ერთ-ერთი მათგანი ინსტრუქტორის დახმარებით ხელახლა ტენის შაშხანას. წარწერაც საკმაოდ მჭევრმეტყველურია: „ამერიკის შეერთებულ შტატებში მონაზვნები ზუსტად ისვრიან".

შემდეგ ლაპარაკია იმაზე, რომ ამერიკაში, ვისკონსინის შტატში, ყველა მონაზონი ეუფლება სროლას. საერთოდ, ეს არც ისე საძრახისია, თუმცა ქრისტეს დებისთვის სროლა სპორტის ცოტა უცნაური სახეობაა. „არა კაც კლა!" — ქადაგებს ქრისტიანული მორალი. ამერიკელი მონაზვნები კი სროლას თურმე იმისთვის სწავლობენ, რომ ზუსტად მოარტყან შავკანიანს. ერთი სიტყვით, შავმანტიან რასისტებს, ფაშისტების მსგავსად, შაშხანები სპორტული მიზნით როდი აუღიათ ხელთ.

## გიგანტი პირინეებში

საფრანგეთის მთავრობა ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავისი სპორტსმენების მზადებას საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის. წლეულს ათლეტებთან ერთად მეხიკო-სიტიში ჩავიდა ფრანგი ექიმების დიდი ჯგუფიც. სამშობლოში რომ დაბრუნდნენ, მათ წინაშე დაისვა ამოცანა: გამოენახათ საფრანგეთში მთიანი ადგილი, რომელიც კლიმატური პირობებით ასე თუ ისე შეესაბამებოდა მექსიკის დედაქალაქს.

დიდი ხნის ძებნისა და გამოკვლევის შემდეგ პირინეებში პატარა დაბა ფონრომეს მიაგნეს და მშენებლობაც დაიწყო. 1967 წლის იანვარში აქ გაიხსნება სპეციალური ცენტრი მაღალმთიან პირობებში სავარჯიშოდ. ფონ-რომე ფრანგი ოლიმპიელებისთვის იქნება ბანაკიც მექსიკური თამაშების წინ.

აი, როგორ შეაფასა ცნობილმა ფრანგმა მძლეოსანმა მიშელ ჟაზიმ პირინეებში აგებული სპორტული გიგანტი:

„აქ ყველა პირობაა, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის სათანადოდ მოემზადო, რომ აკლიმატიზაციის პერიოდი გაიარო და ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენო. ამგვარი მომზადება რომ არა, მექსიკელები გაცილებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდებოდნენ, ვიდრე ჩვენ, ან რომელიმე სხვა ევროპული გუნდი".

## დისციპლინის საიდუმლოება

ინგლისელი ფეხბურთის მოყვარულები ამტკიცებენ, ყველაზე დისციპლინიანი გუნდი ლონდონის კლუბი „ჩელსიაო". ამავე აზრისაა გუნდის მწვრთნელი ჰ. მედჰერსტიც, რომელიც წარმატებას მთლიანად საკუთარ გამომგონებლობას მიაწერს.

მედჰერსტმა თავის სტადიონზე ჩამოკიდა საჯარიმო შკალა: წვრთნაზე დაგვიანება — 5 შილინგი, ყოველი ცუდი სიტყვა — 3 პენსი, გასახდელში თამბაქოს მოწევა — 1 შილინგი. პროტესტი დამნაშავეს 10 შილინგი უჯდება.

ჯარიმით დასჯას მარტო აღმზრდელობითი მიზანი როდი აქვს. მთელ შეგროვილ ფულს გუნდი ინვალიდთა ბავშვების დახმარების ფონდს უგზავნის.

## სისწრაფის საფასური

*ეს ამბავი შვეიცარიის პატარა დაბა კარლსკრონეში მოხდა. ნიჩბოსნების ადგილობრივი გუნდი — ოთხეული მესაჭით — პანტარჰოლსზუნდის ტბაზე ვარჯიშობდა. ბიჭებს ბედი სწყალობდათ. მათ მეტეორივით გაიელვეს ტბის ლურჯ ზედაპირზე და შესანიშნავი შედეგი უჩვენეს. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. უეცრად ნიჩბოსნებს გზა ეგრეთწოდებულმა „საწყლოსნო პოლიციის" ნავმა გადაუღობა.*

*პოლიციელებმა სპორტსმენებს მოსთხოვეს ან ახლავე ჯარიმა გადაიხადეთ, ან აქაურობას გაეცალეთო. რა დააშავეს ნიჩბოსნებმა? თურმე მათ „დაკანონებულ სისწრაფეს გადააჭარბეს და ამით მეთევზეებისა და აფროსნების სიმყუდროვე დაარღვიეს". გაოგნებულმა სპორტსმენებმა ჯარიმა გადაიხადეს, მაგრამ ის კი ვერაფრით გაიგეს, რატომ ხდება, რომ ზოგს მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით აჯილდოვებენ სისწრაფისთვის, ზოგს კი ჯარიმას ახდევინებენ.*

# ფიტულების ტყვეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ჯარისკაცებივით არიან ჩამწკრივებული დარბაზის სხვადასხვა კუთხეში და უხმოდ ელიან განკარგულებას. ბრძანებას იძლევა მწვრთნელი, რომელიც სამართავ პულტს უზის სპეციალურ ჯიხურში. საკმარისია ელექტროდანადგარის შკალის ღილაკზე თითის დაჭერა და ფიტულები ათასნაირ მოძრაობას იწყებენ. ესაა, რომ ადგილის შენაცვლება არ შეუძლიათ. ფიტულები უმთავრესად ხელებს ამოძრავებენ და კალათბურთელებს გზას ულობავენ.

ეს ორიგინალური ფიტულები ჩვენ ვარშავის ფიზაღზრდის აკადემიის ერთ-ერთ სპორტდარბაზში ვნახეთ. სხვათა შორის, ფიზაღზრდის აკადემიის (ჩვენებური ფიზკულტურის ინსტიტუტი) სპორტული კომპლექსი, თავისი ორიგინალური დარბაზებითა და არანაკლებ ორიგინალური და გონებამახვილური ინვენტარით, უკვე კარგა ხანია, რაც მეხიკოს ოლიმპიადის კანდიდატთა განკარგულებაშია. ვარშავაში მას სხვაგვარად ოლიმპიური მომზადების ცენტრს უწოდებენ.

ერთ-ერთი დარბაზი, რომელიც 2 თანაბარი ზომის განყოფილებისგან შედგება, მხოლოდ კალათბურთელებს აქვთ დათმობილი. პირველი განყოფილება ესაა ჩვეულებრივი სათამაშო დარბაზი ფარიცხვი, გარდიგარდმო ჩამწკრივებული კალათებით. აქ მომავალი ოლიმპიელები გადიან ტაქტიკურ მეცადინეობას და ორმხრივ თამაშს ატარებენ.



მეორე განყოფილების ერთ-ერთი კუთხე სწორედ ამ ფოტოზეა აღბეჭდილი. შეიძლება გაგიკვირდეთ: რა კონკრეტული სარგებლობა მოაქვს ამ ურთულეს ელექტროტექნიკურ მექანიზმებსო? მერწმუნეთ, რომ მომეცადინეებში ასეთი გულუბრყვილო შეკითხვა მხოლოდ ღიმილს გამოიწვევდა.

საქმე ისაა, რომ მექანიკური ფიტულები წვრთნის დროს იდეალური პარტნიორები არიან. მწვრთნელის განკარგულებით, ისინი ხელებს იმდაგვარად ამოძრავებენ, რომ მომეცადინეებს წინსვლის სერიოზული დაბრკოლება შეუქმნან. და აი, სწორედ ამგვარ რთულ სიტუაციებში ვლინდება კალათბურთელის ოსტატობა, მოსაზრებულობა. ისინი, როგორც სათხილამურო სლალომში, გვერდს უვლიან ხელების ტყეს და ბოლოს გადიან სამშვიდობოს, სადაც ბურთის კალათში ჩაგდებას წინ აღარაფერი უდგას.

ნუ გგონიათ, რომ ეს საინტერესო მექანიკური ფიტულები მხოლოდ მომავალ ოლიმპიელთა საკუთრება იყოს. გარკვეულ საათებში ისინი მართლაც მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებს ემსახურებიან. დარჩენილ დროს ისინი ფიზაღზრდის აკადემიის კალათბურთელებს „წვრთნიან", რომელთაც მომავალი ჯერ კიდევ წინა აქვთ.

ნ. გუგუშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვარშავა.

მსოფლიო ჩემპიონატის ექო — ფეხბურთი

# რილდო — მეამბოხე

**მსოფლიო პრესა კვლავ დიდ ადგილს უთმობს ბრაზილიის ფეხბურთს. ეს არცაა გასაკვირი: ბრაზილიელთა მარცხი ხომ ინგლისის ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაცია გახლდათ. ეს წერილი პარიზის „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტს ალან ფონტანას ეკუთვნის. ფრანგი ჟურნალისტი რიო-დე-ჟანეიროში ესაუბრა ბრაზილიელთა ნაკრების მცველს რილდოს, სწორედ იმ რილდოს, „ვისაც შეუძლია კვლავ გააბრწყინოს ბრაზილიის საფეხბურთო დიდების მზე".**

ბრაზილიაში არის კაცი, რომელიც ნაკრების მარცხმა ვერ გატეხა. სხვები თავისთვის, ჩუმ-ჩუმად ჩურჩულებენ, რაღაც გეგმებს აწყობენ, უცნაურ აზრებს გამოთქვამენ, წინასწარმეტყველებენ. ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა სიკვდილია ბრაზილიის ფეხბურთისთვის და გლოვობენ კიდეც, კვნესიან, ტირიან, კბილებს ახრჭიალებენ.

ცნობილი მცველი რილდო კი სულ სხვა გუნებაზეა, იგი აღსავსეა ოპტიმიზმით და ბრძოლის იმ წყურვილით, ძლიერი ბუნების ადამიანებს რომ სჩვევიათ. რილდო მტკიცე ხასიათის კაცია.

— და მაინც, მე ბედნიერი არა ვარ, — ამბობს იგი. — ბედი არ მწყალობს. წლევანდელი წელი ღალატიანი გამოდგა. რიო-სან-პაულუს ტურნირი, ასე თუ ისე, წარმატებით დავასრულე და მერე, როგორც სხვა დროს, ნაკრების მარცხენა მცველის „თბილი" ადგილი დავიკავე. ნილტონ სანტოსისთვის არასოდეს შემიდარებია თავი, მაგრამ არც ის მიფიქრია, რომ ან ჩემს გუნდში, ან ნაკრებში ვინმეს დავუდებ ტოლს.

მაგრამ, — განაგრძობს რილდო, — სრულიად მოულოდნელად, არ ვიცი რატომ, ვიგრძენი, რომ ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. უგემურად, უაზროდ ვთამაშობდი, აღარც გატაცება გამაჩნდა, აღარც შთაგონება. ამას მოჰყვა ის, რომ ტექნიკურმა კომისიამ „ფლამენგოდან" გამოიძახა სათადარიგო მოთამაშე პაულო ჰენრიკე. ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეს კარგი შანსი იყო და თავი არ დაუზოგავს, რომ ოსტატობა სრულად გამოევლინებინა. ჰენრიკე მონაწილეობდა საერთაშორისო მატჩებში, მე კი მისი № 1 გულშემატკივარი გახლდით.

თუმცა, საპენსიოდ ჯერ კიდევ არ მქონდა საქმე. ჩემ კლუბში სულ უკეთ და უკეთ ვთამაშობდი და ბოლოს ვიგრძენი, რომ წინანდებურ სპორტულ ფორმაში ჩავდექი. ფეოლა ყოველი მატჩის წინ ცვლიდა ნახევარ გუნდს მაინც. იგი რამდენიმე მცველს არჩევდა, სხვებს, მათ, ვინც ასე თუ ისე გამოავლინა თავი. მე ჩრდილში მოვექეცი და საჭირო შეიქნა მხოლოდ უნგრელებთან მწარე მარცხი (1 : 3), რომ კვლავ მეთქვა ჩემი სიტყვა.

პორტუგალიელებთან მატჩში, მართლაც, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიბრძოდი, მზად ვიყავი მეტოქეს კბილით ჩავფრენოდი და მთელი საათნახევარი არ გამეშვა. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია, კარშიც კი ვურტყამდი, მაგრამ ამან გუნდს არ უშველა. განწირული ვიყავით. ცოფი მომერია.

ასე იყო თუ ისე, იძულებული გავხდით დედამიწას დავბრუნებოდით და ხვედრს შევრიგებოდით. საიდუმლო როდია, რომ მე მუდამ კარგი ურთიერთობა მქონდა „სანტოსის" ხელმძღვანელობასთან, მუდამ ვოცნებობდი ამ კლუბში თამაშზე. როგორც კი „სანტოსის" მესვეურები ჩემით დაინტერესდნენ, მივედი ჩემი კლუბის — „ბოტაფოგოს" თავმჯდომარესთან, სენიორ პალმერასასთან და 160 ათასი დოლარი შევთავაზე. ამ ფულის 40 პროცენტი ხელშეკრულების დადებისას უნდა მიმეცა, დანარჩენი კი ტურნირის დამთავრების შემდეგ. მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა მოულოდნელად გამომიცხადეს, შენთან დაკავშირებით გეგმა შევცვალეთო.

მე კი უკვე გადასასვლელად ვემზადებოდი. პელეს გუნდში სამმაგი ხელფასი მელოდა. ამას გარდა, 18 ათას დოლარს პრემიად მომცემდნენ. რომელი ფეხბურთელი იტყვის ამაზე უარს?

როგორ გადაწყდება რილდოს საქმე? რა ელის? ეს ჯერ არავინ უწყის. იგი ბრაზილიის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილის მკვიდრია. იქ ცხოვრება ჭირს, ბუნება მკაცრია, ხალხი კი ისე ფიცხი, როგორც არსად მთელს ბრაზილიაში. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი რილდო კი ჯიუტად გვარწმუნებს.

— წლევანდელმა წელმა მიღალატა, მაგრამ იგი ხომ უკვე გავიდა. მე სწორედ ის სპორტსმენი ვარ, რომელსაც შეუძლია ბრაზილიის ნაკრები აღორძინების გზაზე დააყენოს. არ დაივიწყოთ ეს.



*△ უპსალა (შვეცია). მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ორჯერ დამარცხდა ევროპის ჩემპიონი ფ. ვიგანდი (გდრ). 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მას აჯობა შვეციელმა ო. ფერმიმ — 2.17,6 (ვიგანდის დრო — 2.18,2), ხოლო 100-მეტრიან დისტანციაზე ჩემპიონი დაამარცხა ლ. ერიკსონმა — 55,1. ვიგანდი შვეციელს 0,5 წამით ჩამორჩა.*

რედაქტორი მ. ჭაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ბანაკი

**სამბო.** ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტდარბაზი (ტელმანის ქ. № 8). **8 დეკემბერი. საქართველოს პირადი პირველობა.** დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **8-19 დეკემბერი. თბილისის ვაჟთა პირველობის ნახევარფინალები.** დასაწყისი 18 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** „განთიადის" საჭიდაო დარბაზი (სულხან-საბას ქ. № 13). **9-11 დეკემბერი. „განთიადის" რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი: 9 დეკემბერს — 18 ს., 10 და 11 დეკემბერს — 10 ს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 12892